ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1–470

"24 "თებერვალი 2017წ.

ქ. თბილისში, ისნის რაიონში წინანდლის ქუჩა №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.001.105), სასაწყობე შენობის (საკომპრესორო) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 16 თებერვლის №7 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ისნის რაიონში წინანდლის ქუჩა №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.001.105), სასაწყობე შენობის (საკომპრესორო) განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია